

ქულა – ნებისყოფისა და სიმამაცისათვის

“დინამო” (თბილისი) – “ჩერნომორეცი” (ოდესა) – 3:2(1:1.)

გოლები: მაისურაძე (23) – 1:0, კორშუნოვი (40) – 1:1, ლობანოვსკი (53) – 1:2, ბარქაია (63) – 2:2, მაისურაძე (79) – 3:2.

43-ე წუთზე მეტრეველმა (“დინამო”) ვერ გამოიყენა პენალტი.

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 15 აპრილი. 6 გრადუსი. წვიმა. 40 000 მაყურებელი.

“დინამო”: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, რეხვიაშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, იამანიძე, მეტრეველი, ბარქაია, მაისურაძე, დათუნაშვილი.

“ჩერნომორეცი”: გოროდენკო, მედაკინი, ზაბოლოტნი, ხრომინი, სოლოდკი, დერიაზინი, ჩებოტარიოვი, კორშუნოვი, მოსკალენკო, ლობანოვსკი, საკი.

მსაჯები: ს. ალიმოვი; თანაშემწეები ვ. ბარაშკოვი და ო. რევიზინი (ყველა მოსკოვი)

დუბლიორები – 2:1 თბილისელთა სასარგებლოდ. გოლები – ხართიშვილი, გავაშელი (ორივე დინამო), პარკუიანი (“ჩერნომორეცი”).

1. მსაჯის სასტვენამდე

სსრ კავშირის XXVII ჩემპიონატის პირველი მატჩის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე ქალაქში, სადაც ამჟამად “ჩაწერილები” არიან ჩემპიონები, მთაწმინდის თავზე ბოროტი ნაცრისფერი ღრუბლების პაწია ჭრილში წამიერად გამოიხედა ალერსიანმა აპრილის მზემ. თითქოს მას არ სურდა “თამაშარე” დარჩენილიყო და მცირე ხნით გაანათა ქალაქი, სადაც ამ დროს ყველა გზა “დინამოს” სტადიონისკენ მიდიოდა. შემდეგ კი ისე მიიმალა ღრუბლების მიღმა, როგორც მრგვალი ოქროს მედალი ნაცრისფერ ყუთში. და მე ვიფიქრე, აი, ასეთივეა საბჭოთა ფეხბურთის ჩემპიონის მაღალი ტიტულისთვის ბრძოლის პერპექტივები, სანამ ისინი მოგებათა, ფრეთა და დამარცხებათა ბურუსითაა დაფარული. ვინ გადალახავს 46-47 ქულის “ოქროს ზღვარს”? – ამის განჭვრეტა ახლა შეუძლებელია. მაგრამ იმათი დებიუტის ნახვა, რომელთა შარშანდელი ტრიუმფის მზე საღამოს კოსტუმების გადანაკეცზე ბზინავს, სრულიად რეალური ამბავი იყო აქ, საქართველოს დედაქალაქში. ამიტომაც ჩამოვედი მე ჩემპიონისა და თამამი ოდესელი ახალბედის დუელზე. აქვე დავძენ: ოდესა ხომ სწორედ ის ქალაქია, სადაც დაიბადა ჩვენი ფეხბურთი! საინტერესო იყო მოსამზადებელი პერიოდისა და საკონტროლო თამაშების შემდეგ შეგვედარებინა ჩვენი უმაღლესი ლიგის პირველი და ბოლო საფეხური. თუმცა ჩემპიონატის სტარტზე ყველა თანაბარია და ჯერ მხოლოდ ერთ ხაზზე დგას იმაზე ოცნებით, რაც შეიძლება მაღლა ავიდეს საფეხბურთო გამარჯვების მწვერვალისკენ მიმავალ ვიწრო ბილიკზე.

ამიტომაც მივიჩქაროდი გიგანტური სკასავით მოფუსფუსე და მოხმაურე ტრიბუნებისკენ, რომლებიც ყოველგვარი ნორმის ზევით იყო გადატვირთული (ეჰ, უკვე დროა, საქართველოს დედაქალაქს ჰქონდეს "ასიათასიანი" სტადიონი!).

...ორივე გუნდი "გაყვანილია" სხვადასხვა კუთხეში და დამაბულ ვიტარებაში ემზადება მატჩისთვის. მწვრთნელთა უკანასკნელი დარიგებანი და კაპიტნები ეუბნებიან ბიჭებს: "წავიდეთ, მოთელვის დროა"...

მსაჯთა ოთახში მოსკოვის ბრიგადის არბიტრის ნაცნობი სახეები გვხვდება. აქ არიან ინჟინერი ს. ალიმოვი და მისი თანაშემწეები ვ. ბარაშკოვი და ო. რეზინი. წინასწარვე ვიტყვით, ალიმოვმა კვალიფიციურად ჩაატარა ეს რთული და დრამატული მატჩი.

შეივსო ასპარეზობის ოქმიც. აი, იგი:

"დინამო": კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, რეზვიაშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, იამანიძე, მეტრეველი, ბარქაია, მაისურაძე, დათუნაშვილი.

"ჩერნომორეცი": გოროდენკო, მედაკინი, ზაბოლოტნი, ხრომინი, სოლოდკი, დერიაზინი, ჩეხოტარიოვი, კორშუნოვი, მოსკალენკო, ლობანოვსკი, საკი.

ამრიგად, მასპინძელთა შორის არ არის ვირტუოზული მესხი, სტუმართა შორის – სტოპერი პოპიჩკო და "ბომბარდირი", კოლდაკოვი. რას იზამ, ავადმყოფობას და ტრავმას ხანდახან ჩემპიონატის დაწყებამდეც შეხვდები.

ძალიან სასიამოვნო სანახავი იყო, როგორ მართვეს სტუმართმოყვარე მასპინძლებმა მეტოქეებს ფერად-ფერადი ყვავილების ლამაზი კალათები, ხოლო მეზღვაურებმა თავიანთ მასპინძლებს – სპორტსაზოგადოება "ვოდნიკის" ვიშპელი, უზარმაზარი თაიგული და ლამაზი ალბომები, რომლებშიც მათი მშობლიური გმირი ქალაქია ასახული. აი, ასე გულითადად უნდა მიმდინარებდეს მეტოქეთა შეხვედრები. ისინი ხომ, პირველყოვლისა, მეგობრები არიან სპორტით, საყვარელი თამაშით!

გაისმის ალიმოვის პირველი ნიშანი. სრულდება პირველი "ოფიციალური" დარტყმა ბურთზე. ბრძოლა დაიწყო...

2. მეტრეველი და გოროდენკო

პირველივე წუთებიდან აშკარა ხდება, რომ მომაბეზრებელი წვიმების შემდეგ ტალახიანი, მძიმე მინდორი გუნდების ცუდი თანაშემწეა. ეს განსაკუთრებით ითქმის თბილისელებზე, რომლებსაც მეზღვაურებთან შედარებით უფრო მაღალი ტექნიკური პოტენციალი აქვთ. როგორც ჩანს, შეცდომის დაშვების შიშით მოთამაშეები ფრთხილად მოქმედებენ. ეს კი, თავის მხრივ, სწრაფი ტემპით თამაშის საშუალებას არ იძლევა. ეს გარემოებაც კიდევ ერთი პლუსია სტუმრებისთვის – საშუალო ტემპში ისინი ისე გრძნობენ თავს, როგორც თევზი – წყალში.

აი, რატომ გამოიყურებოდა მატჩის სტარტზე "დინამო" როგორღაც შებორკილად.

და ყოველივე ზემოთქმულის შედეგები თავს იჩენს მატჩის მსვლელობაში. თბილისელთა მხარეს ინიშნება რამდენიმე საჯარიმო და თავისუფალი დარტყმა, კოტრიკაძე თავის ოდესეღ კოლეგაზე უფრო ადრე ებმება თამაშში, ხოლო მე-5 წუთზე ლობანოვსკის რეიდის ჩასაშლელად რეზვიაშვილს აკრობატულ ნახტომში უხდება ბურთის მოგერიება.

მაგრამ, აი მე-5 წუთზე ზაბოლოტნი ცდილობს ნახტომში გადაჭრას გადაცემა, ვერ წვდება ბურთს და მეტრეველი გადის დარტყმისთვის სრულიად

ხელსაყრელ პოზიციაში. სამწუხაროდ, გარტყმა არ გამოვიდა – იგი რაღაც შუალედური იყო გადაცემასა და დარტყმას შორის. მართალია, მარცხნიდან მაისურაძე მორბოდა, მაგრამ შეტევის დაგვირგვინება ვერ მოახერხა, რადგან საამისოდ მომზადებული არ იყო. 4 წუთის შემდეგ იგივე მაისურაძე ბრწყინვალედ იქნა გაყვანილი ორ მცველს შორის. დარტყმა, ძელი! ასეთი გოლები გატანილ უნდა იქნას! თუმცა ნუ დავადანაშაულებთ ახალგაზრდა და მონერვიულე დებიუტანტს. მე მინახავს, ანალოგიურ ვითარებაში როგორ აცდენდნენ კარს თვით პელე და კოპა, ფონტენი და ვალტერი, ფედოტოვი და ბობროვი, პაიჭაძე და პონომარიოვი. ასე რომ, ნუ ვიქნებით მეტისმეტად მკაცრი ახალგაზრდებისადმი...

თანდათანობით თითქოს ყოველი თბილისელის ტექნიკური და ტაქტიკური უპირატესობა გადაიზარდა საერთო უპირატესობაში, შეიცვალა თამაშის საერთო სურათი.

მე-11 წუთი. საზარელი მდგომარეობა სტუმართა კართან. ზედახორა, დარტყმების სერია, რომელიც წყდება შემდეგ, რაც იამანიძე ზევიდან აცილებს კარს ბურთს.

მე-13 წუთი. დათუნაშვილის დარტყმული ბურთი ეხება ბადეს გარედან.

მე-15 წუთი. გოროდენკო თავგანწირვით უხტება ფეხებში მაისურაძეს.

მე-17 წუთი. კომბინაცია გ. სიჭინავა – მეტრეველი, დარტყმა... მაგრამ გვერდით.

21-ე წუთი. გოლი მწიფდება "ჩერნომორეცი" მოკრივესავით კუთხეშია მიმწყვდეული და ბრმად იგერიებს შეტევებს. აი, გაბედულ გასვლას ახორციელებს ხურცილავა, მაგრამ უკანასკნელ მომენტში ლობანოვსკი მდგომარეობას განმუხტავს.

23-ე წუთი. მეტრეველ აუჩქარებლად მიიწევს წინ, თან ჟონგლიორობს და ისე ათამაშებს სოლოდკის, როგორც კატა – თავს. შემდეგ უეცარი ბიძგი, გადაცემა მაისურაძე, რომელმაც კარგად შეარჩია პოზიცია, თავით აგზავნის ბურთს ბადეში. 1:0 – ჩემპიონის საბრძოლო ანგარიში გაიხსნა!

შემდეგ თბილისელები ანელებენ ტემპს, მეზღვაურები მოლოდინის ტაქტიკას ადგანან და თამაში ოდნავ გაფერმკრთალდა.

მე-40 წუთი. ოდესელებმა გადაცემა ცენტრში გადაჭრეს. ხურცილავა შეცდა შეტევის მიმართულების ამოცნობისას. ამას მოჰყვა მოსკალენკოს გადაცემა კორშუნოვისკენ და იგი ახლო მანძილიდან "აზიანებს" თბილისელთა კარს. 1:1. ახალბედამ კლანჭები გამოაჩინა... მაგრამ არ გასულა 3 წუთიც კი, რომ თბილისელებს წინ წინ გასვლის რეალური შესაძლებლობა ეძლევათ. ხელით თამაშის გამო "ჩერნომორეცის" კარში პენალტი ინიშნება. ბურთს უახლოვდება მეტრეველი. ამ დროს ლობანოვსკი ასწრებს გოროდენკოსთვის თქმას, თუ როგორია თბილისელის ჩვეული დარტყმა. სტადიონი გაინახა. გოროდენკო ზუსტად იღებს ბურთს.

ეს პენალტი რომ გასულიყო თამაში ჩემპიონისთვის უბრალო კალაპოტში წარიმართებოდა.

3. დრამატული ტაიმი

მეორე ნახევარი. თბილისელებმა იგი აქტიურად დაიწყეს. როგორც ჩანდა, სურდათ ერთბაშად გადაეწყვიტათ თამაშის ბედი. მაგრამ, შემდეგ, თვალისთვის შეუმჩნეველად მათ ქმედებაში რაღაც მოდუნებულობა, ბორკილობა გაჩნდა.

შტუმრებმა ეს დაუყოვნებლივ გამოიყენეს და დაიწყეს თბილისელთა სიმაგრის ფლანგებიდან შემოვლა. ამ წუთებში გვაცვიფრებდა წარუმატებლად მოთამაშე ცხოვრებოვის პასიურობა და თბილისელთა ორი სტოპერის შეუთანხმებლობა. და აი, საზღაურიც: 53-ე წუთზე კოტრიკაძე იგერიებს ძლიერ დარტყმას, მაგრამ ბურთთან ჩნდება ლობანოვსკი და ზუსტად გზავნის ზედა კუთხეში. 2:1 – თამაშს იგებენ ახალბედები. ამაზე ითქმება: "მძიმეა ქუდი ჩემპიონისა..."

და, მაინც, "დინამოს" ნახევარმცველთა შეხმატკბილებული დუეტი და დაუდგრომელი ბარქაია ცდილობენ სასწრაფოდ შეატრიალონ ამ ორთაბრძოლის "საჭე". ამასთან, "ჩერნომორეცი" ტაქტიკურ შეცდომას უშვებს – გადადის ყრუ დაცვაში, იმის ნაცვლად, რომ შეტევა განაგრძოს. წინ ხომ თამაშის მთელი 30 წუთია!

და აი, 55-ე წუთიდან ჩემპიონი ერთ მუშტად კრებს თავის ნებისყოფას და ოსტატობას. მეზღვაურთა კარს შეტევათა გრიგალისებური ზათქი ატყდება. თავისუფალი და საჯარიმო დარტყმების სერია. ტემპი, ტემპი, ტემპი! – ახლა იგი გადაწყვეტს ყველაფერს. მეზღვაურები თავგანწირვით იგერიებენ ამ 12-ბალიან საფეხბურთო შტორმს. მაგრამ ამაოდ: 63-ე წუთზე გოროდენკო ვერ აკავებს ბურთს და ყველგან მყოფი ბარქაია ძნელი მდგომარეობიდან ზუსტი დარტყმით ათანაბრებს ანგარიშს. 2:2.

თბილისელებმა მოედნის შუაგული დაიპყრეს და შეტევათა ხლართებს ქსოვენ. იწყება კუთხურების სერია. დათუნაშვილის ოსტატური მოჭრილი ბურთები "ჩერნომორეცის" დაცვის თავზე საშინელებად ტრიალებს. აი, მაისურაძე მოულოდნელად არტყამს ბურთს უკუვარდნით, მაგრამ სტუმრების კარი კვლავ ბეწვზე გადარჩა.

79-ე წუთზე მატჩის ენდშპილია. თბილისელები უკვე ცაიტნოტში არიან და გამმაგებით მიიწევენ წინ. მორიგი კუთხური. ბურთი "ზედა სართულზეა" – ჰაერში. მასთან ასწრებს "დიდი" სიჭინავა – გადაცემა და მაისურაძე თავით ურტყამს ბურთს... არის! 3:2. ეს უკვე გამარჯვებაა, თუმცა "ჩერნომორეცი" თავგანწირულად ცდილობს დამარცხებისაგან თავის ხსნას.

ასე დიდ ფასად დაუჯდა ჩემპიონს პირველი, ფსიქოლოგიურად მეტად მნიშვნელოვანი 2 ქულის მოპოვება, მაგრამ ამას მოჰყვა დამატებით 1 ქულაც გაზეთ "სოვეტსკაია როსიას" პრიზისთვის ბრძოლაში. ეს პრიზი ყველაზე უფრო ნებისყოფიან გუნდს გადაეცემა.

ყოჩად, ბიჭებო! მითუმეტეს, რომ "ჩერნომორეცი" ღირსეული პარტნიორი აღმოჩნდა.

გამარჯვებულთაგან უნდა გამოვყოთ ნახევარმცველები და ორივე ცენტრი – გამობრძმედილი ბარქაია და ახალბედა მაისურაძე.

ი. ვანიატი.

"ლელო", 17 აპრილი, 1965 წ.

დამატებითი მონაცემები "სოვეტსკი სპორტიდან" 16.04.65